

კითხვის უკეთ სწავლებისათვის

მაია მამისეიშვილი

სსიპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის დირექტორი/ქართული ენისა და ლიტერატურის სერთიფიცირებული მასწავლებელი

ანოტაცია:

ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე განვითარების რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ეტაპს გაივლის. ყველა მათგანს გარკვეული სირთულე ახლავს თან, მაგრამ ალბათ ყველაზე რთულად მაინც ის პერიოდი გვეჩვენება, როცა დამოუკიდებლად პირველი ნაბიჯების გადადგმა იწყება პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით. სასკოლო ასაკის პირველი რამოდენიმე წელი ყველაზე საინტერესო პერიოდია იმ მხრივ, რომ მოსწავლეები კითხვას დამოუკიდებლად სწავლობენ და სხვისი თუ თავისი წაკითხულის გაგება-გააზრებას ახდენენ. კითხვის უნარის განვითარებას გარკვეული სირთულეები ახლავს და ნებისმიერი სკოლა უნდა ცდილობდეს მიმართოს მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით შედეგების გაუმჯობესებისკენ. თითქოს ადვილი პროცესია კითხვის სწავლა, მაგრამ თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ სკოლის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილს არ უჭირთ კითხვა, ნაწილს მხოლოდ სიტყვების სწორად ამოკითხვა შეუძლია ტექსტიდან, მაგრამ გაგება-გააზრება წაკითხულისა უჭირს, ხოლო ნაწილი ვერ კითხულობს.

PIRLS-ის კვლევებმა დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს წაკითხულის გაგება-გააზრების მიმართულებით. კვლევებითვე დასტურდება, რომ ქალაქის სკოლის მოსწავლეები უფრო კარგად კითხულობენ, ვიდრე სოფლისა. PIRLS-ის კვლევებში ერთ-ერთი ეს შედეგიც დომინირებს, რამაც განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. გადავწყვიტე ჩემს სკოლაში აღნიშნული მიმართულებით გარკვეული აქტივობები დამეგემა და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად საგაკვეთილო პროცესი უფრო საინტერესო გამეხადა და პარალელურად სასკოლო პროექტების განხორციელება დამეწყო. მსურს გაგიზიაროთ პრაქტიკული გამოცდილება, რამაც გარკვეულწილად გააუმჯობესა მოსწავლეების შედეგი კითხვაში და საინტერესო თანამშრომლობას დაუდო სათავე.

საკვანძო სიტყვები: კითხვა, სწავლა, კვლევა, უნარი.

კითხვის უნარის განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის შესაძლებლობას გაიუმჯობესოს ინტელექტუალური თუ ყოფითი აზროვნება. იმ ასაკში, როცა მოზარდი კითხვას სწავლობს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თუ რა სტრატეგიებით ცდილობენ უფროსები მიზნის მიღწევას.

სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც კითხვის უნარის შესწავლაც და რეალიზებაც კომპლექსური სახით ხდება. ხშირად სხვადასხვა საგანთა მიღწევებში დაბალი შედეგები სწორედ იმ მოსწავლეებზე მოდის, რომლებიც ვერ კითხულობენ, ან სიტყვათა თუ წინადადებათა ამოკითხვას სწორად ახერხებენ, მაგრამ გააზრებული კითხვის

გარეშე. მიზეზების ძებნა მნიშვნელოვანია, მაგრამ უმთავრესად მიმაჩნია პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. ეს პროცესი იმ დიდი კედლის მშენებლობას ჰგავს, ყველამ თითო აგური რომ დავდოთ მყარ საძირკველზე.

ერთიდაიგივე სკოლაში, წლების განმავლობაში სხვადასხვა თაობის მოზარდებზე დაკვირვებამ მიჩვენა, რომ კითხვის უნარის გაუმჯობესების მიმართულებით თითქოსდა არაფერი შეცვლილა.

2012-2013 სასწავლო წელს სსიპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლა ჩაერთო დაწყებითი განათლების პროექტში. G-PRIED-მა შესაძლებლობა მისცა ჩვენს სკოლას კიდევ ერთხელ, რეალურად შეეხედა არსებული პრობლემებისთვის და პროექტის ხელმძღვანელთა და ტრენერთა დახმარებით მასწავლებელთა მოტივირებული მუშაობით, ხელი შეგვეწყო მოსწავლეთა კითხვის უნარის გაუმჯობესებისთვის.

როგორც სკოლის დირექტორი და ამასთანავე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აქტიურად ვმონაწილეობ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში. პროექტის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამედროვე მეთოდების დანერგვა სასწავლო პროცესში, რაც სწავლების ინტერაქტიური მეთოდებით სწავლებას უწყობს ხელს. მასწავლებლის დანიშნულებაა დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ყველა მოსწავლეს წარმატების მიღწევაში. ჩვენი ქვეყნის მომავალი მართლაც რომ დამოკიდებულია თუ როგორ ისწავლება კითხვა და რა კეთდება თითოეული მოსწავლის წარმატებისათვის. მოსწავლეები სწავლას იწყებენ განსხვავებული აკადემიური მზაობით, საჭიროებებითა და ინტერესებით. მოსწავლეთა მოსწრება განსხვავება სხვადასხვა კომპეტენციისა და უნარების მიხედვით. აღნიშნული განსხვავებების აღმოფხვრა შესაძლებელს გახდის თითოეული მოსწავლის მიერ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანტარტის დაკმაყოფილებას.

კითხვის უნარების გასაუმჯობესებლად მასწავლებელმა გარკვეული პოზიტიური სამუშაოები უნდა განახორციელოს. პირველ რიგში საინტერესოდ დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეს სწავლის მიმართ ინტერესს უღვივებს. მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ მასწავლებლისგან, არამედ სხვა საშუალებებითაც, მაგ:

- წიგნებით
- თანატოლებთან ურთიერთობით
- მშობლებთან ურთიერთობით
- საუბრებით გარეშე პირებთან
- დაკვირვებით, აუდიო/ვიდეო მასალით
- ინტერნეტით
- კეთებით
- ტესტით/დავალებით
- საკუთარი გამოცდილებით და ა.შ

თითოეული ეს საშუალება სწავლების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ. მაგრამ უმნიშვნელოვანესია, თუ როგორ იყენებს მას მასწავლებელი. ამ საკითხების

გათვალისწინებით პედაგოგი ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით საინტერესოდ გეგმავს სწავლების პროცესს. კითხვის პროცესის და წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის ხელს გვიწყობს კითხვის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდები. შევეცდები მოკლედ დავახასიათო რამოდენიმე სასწავლო მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს კითხვის უნარის გაუმჯობესებას და სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ არის აპრობირებული ყველა საჯარო სკოლაში.

გავეცნოთ რამოდენიმე მეთოდი:

მეთოდი: „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ ავითარებს ინფორმაციის დახარისხების უნარ-ჩვევებს, აძლიერებს ტექსტის კითხვისა და მასზე მუშაობის მოტივაციას, ასევე ხელს უწყობს კითხვის დასმის უნარ-ჩვევებს. სქემა, რომელიც ამ მეთოდის საფუძველზე იქმნება შემდეგი სახისაა:


ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელი აცნობს თემას მოსწავლეებს და სთხოვს მათ შეავსონ სქემის პირველი პუნქტი და ჩაწერონ ყველაფერი რაც იციან, ან ჰგონიათ, რომ იციან მოცემული საკითხის შესახებ; მეორე გრაფაში შეკითხვების სახით ჩამოაყალიბონ, რისი გაგებაც აინტერესებთ ამ საკითხის შესახებ. სქემის მესამე გრაფას მოსწავლეები ავსებენ ტექსტის წაკითხვის შემდეგ. ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებს თვალნათლივ დაინახონ ფაქტობრივი ცოდნა, ინტერესები საკითხთან დაკავშირებით და წაკითხულით მიღებული ახალი ინფორმაცია. გარკვეული კავშირების დასამყარებლად არსებულ და ახალ მასალას შორის. აღნიშნული მეთოდით კარგია განვლილი მასალის გახსენება, ახალ თემასთან დაკავშირება და კონკრეტული თემის შესწავლა.

კითხვის უნარის განვითარებას ხელს უწყობს მეთოდი „ცნების რუკა“. საინტერესოა მეთოდის გამოყენება საინფორმაციო ტექსტების დასამუშავებლად. ანიშნული მეთოდი ხელს უწყობს ინფორმაციის დახარისხებას. ეფექტურია ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და მნიშვნელოვანი მცნებების ათვისებისათვის. „ცნების რუკაზე“ მუშაობა მოითხოვს პასუხების ძიებას ისეთ შეკითხვებზე, როგორიცაა:

- რა არის-----? რას ჰგავს ის? რა მაგალითების მოყვანა შეიძლება მასთან დაკავშირებით?
- რა არის -----ის მიზეზი? რა არის -----ის შედეგი?
- მოსწავლემ წინასწარ უნდა წაკითხოს ტექსტი, რათა მონიშნოს საკვანძო სიტყვები და წინადადებები

სქემა, რომელიც ამ მეთოდის საფუძველზე იქმნება შემდეგი სახისაა:



The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მნიშვნელოვანი მეთოდია ასევე „ორიენტირებული კითხვის მეთოდი“. აღნიშნული მეთოდი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ყურადღების კონცენტრაცია მოახდინონ კითხვის დაწყებამდე, გამოთქვან ვარაუდები სათაურის გაცნობის შემდეგ, იფიქრონ, როგორ განვითარდება მოვლენები (რა მოხდება?) და წაკითხვის შემდეგ დააზუსტონ, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ცხრილი, სქემა, რომელიც ამ მეთოდის გამოყენების საფუძველზე იქმნება შემდეგი სახისაა:

	რა მოხდება?	რატომ ფიქრობ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
I ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ			
II ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ			

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას და მოსწავლეთა მხრიდან დასაბუთებულ მსჯელობას. მოსწავლეები ინტერესით მუშაობენ ამ და სხვა მეთოდების გამოყენებით დაგეგმილი აქტივობების შესასრულებლად. მათთვის კითხვა მოსაწყენ, ერთფეროვან პროცესად აღარ აღიქმება და ბუნებრივად მალდება მოტივაცია კითხვისადმი.

მიმაჩნია, რომ მხოლოდ საგაკვეთილო პროცესი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას. არაფორმალური განათლებისადმი ხელშეწყობა სკოლის მხრიდან გარკვეულ ნაბიჯებს წინ გვადგმევინებს. არ ახალია, რომ მოსწავლეები სკოლაში ბაძავენ უფროსებს და გარკვეულ თვისებებს იღებენ მათგან. არც ის არის გასაკვირი, რომ მოსწავლეებს ჯანსაღი კომუნიკაციისკენ სწორედ უფროსმა უნდა უბიძგოს. გადავწყვიტე, რომ მოსწავლეთა ეს თვისებები კითხვის უნარების განვითარების ხელშესაწყობად გამომეყენებინა და საგაკვეთილო პროცესის მიღმა სასკოლო ცხოვრება მათთვის უფრო საინტერესო გამეხადა. ამ მიზნით სკოლაში **სასწავლო დღის განმავლობაში 15 წუთი დამეთმო კითხვისთვის**. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა მოსწავლეთა მხრიდან კითხვის პროცესისადმი ინტერესის ასამაღლებლად. ამ მიზნის მისაღწევად ვახორციელებ პროექტს „**თქვენთვის კითხულობს დირექტორი**“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში პირველი--მეექვსე კლასის მოსწავლეებთან წინასწარ შემუშავებული განრიგის მიხედვით, შესაბამის გარემოში (სკოლის ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახი, სკოლის ეზო და ა.შ) ვკითხულობ თანამდროვე საბავშვო მწერლების ნაწარმოებებს. ყოველი მეხუთე შეხვედრისას ერთ-ერთი მოსწავლე თვითონ ხდება ე.წ. „დირექტორი“ და ის კითხულობს. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის ამაღლებას და აქტიურად ემზადებიან ისინი კითხვის პროცესისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებს სურვილი აქვთ გახდნენ „დირექტორები“ და ცდილობენ გააზრებული კითხვით დაინტერესონ მსმენელი.

კითხვის დაწყებამდე მოსწავლეებს აღნიშნულ თემაზე წინარე ცოდნის დემონსტრირების მიზნით ვავსებინებ საინფორმაციო ფურცლებს, ხოლო კითხვის დასრულების შემდეგ--თუ რა გაიგეს ახალი და მნიშვნელოვანი აღნიშნულ თემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით კლასებში სკოლის დირექტორის თანამშრომლობა ბავშვებთან არც თუ ისე აქტიურია, რადგან უმცროსკლასელთა „მიჯაჭვულობა“ კლასის დამრიგებელთან და საგნის მასწავლებლებთან უფრო აქტიურია. ხშირად ბავშვებს ამ ასაკში სკოლის დირექტორითაც კი „აშინებენ“. აღნიშნული პროექტის განხორციელებამ არა მარტო კითხვისადმი ინტერესი გააღვივა, არამედ დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან აქტიურ თანამშრომლობას შეუწყობ ხელი.

როგორც ცნობილია, აქტიური მოსმენა ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია. სხვისი ნათქვამის გაგება-გააზრება ერთი შეხედვით მარტივი პროცესია, მაგრამ 5-9 წლის მოზარდებისთვის ეს პროცესი არც თუ მარტივად მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, აქტიურ მოსმენაში არ ვგულისხმობთ მხოლოდ სიტყვათა და წინადადებათა გაგებას. ამ დროს უმთავრესია, თუ რა გაიგეს მოსწავლეებმა და რა დამოკიდებულება გააჩნიათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. აქტიური მსმენელი იაზრებს მიღებულ ინფორმაციას და ყურადღებას ამახვილებს როგორც შინაარსზე, ასევე გრძნობებზე. ამ პროცესს გარკვეული სირთულეები ახლავს:

- შესაძლოა ყველა მოსწავლემ ვერ შეძლოს აქტიური მოსმენა და გარკვეული ინფორმაცია ყურადღების მიღმა დარჩეს, რაც ხელს უშლის სრულფასოვნად გაგება-გააზრებას
- წაკითხულით, ან რომელიმე პერსონაჟის თავს გადახდენილი ამბით შესაძლოა, მოსწავლე არ დარჩეს კმაყოფილი და მას უარყოფითი ემოცია დაეუფლოს, რის გამოც უარი თქვას მოსმენაზე
- თუ მოსწავლისთვის აღნიშნული ნაწარმოები ან საკითხი ნაცნობია, ის ზედაპირულად უსმენს თანამოსაუბრეს
- თვალნათელია ისეთი მოსწავლეების შემჩნევა მოსმენის დროს, როცა ისინი ცდილობენ აქტიური მსმენელების როლის მორგებას, სინამდვილეში კი სხვა საკითხზე ფიქრობენ

მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობისა საინტერესოდ მიმდინარეობს პროექტი და მოსწავლეები ინტერესით ელოდებიან თუ რას წაკითხვას სკოლის დირექტორი მათთვის.

გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსწავლეებთან საინტერესოდ მიმდინარეობს ინტერვიუები კითხვის გარშემო. ეს პროცესი ერთთავად პროექტის შედეგიანობის შეფასებაა. უფროსკლასელი მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან გასაუბრების პროცესში და ისინი, როგორც კორესპონდენტები ინტერვიუს ართმევენ პირველი - მეექვსე კლასის მოსწავლეებს (იგივე რესპოდენტებს) კითხვის გარშემო.

შეკითხვები შემდეგი სახისაა:

- გიყვარს როცა გიკითხავენ ?
- როგორი წიგნები მოგწონს?

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

- რომელია შენი საყვარელი წიგნი?
- ვინ გიკითხავს ყველაზე ხშირად?
- ვისი წაკითხულის მოსმენა გყვარს ყველაზე მეტად?
- რას კითხულობ ახლა?
- შენი აზრით, ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული?
- გაიხსენე რამდენიმე წიგნი, რომელიც წაგიკითხეს
- გაქვს რაიმე ახალი წიგნი?
- გიყვარს წიგნის მაღაზიაში წასვლა?
- კარგად კითხულობ?
- მთლიანად კითხულობ წიგნს თუ გარკვეულ ნაწილებს? რატომ?

ამ პროცესს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან ინტერვიუების გაანალიზებით კარგად ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის, რომ უკითხოთ მათ წიგნები.

სხვის მიერ ხმამაღლა წაკითხულის მოსმენით აღქმა ტექსტის უკეთ გაგება-გააზრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია. თუ მოსწავლე მოსმენით კარგად გააზრებს, ხოლო წაკითხულით ცუდად, მიზეზი დეკოდირებისა და გამართული კითხვის კომპონენტში უნდა ვეძებოთ. შესაძლოა ბავშვს ამ კუთხით სჭირდებოდეს დახმარება. როცა დაწყებითი კათედრის სამუშაო შეხვედრებს ვესწრები ამ საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებ.

მიმაჩნია, რომ სკოლაში შესაბამისი გარემო უნდა არსებობდეს კითხვის მოტივაციის შესაქმნელად. შეუძლებელია, მხოლოდ დაწყებით კლასებში მიექცეს ყურადღება კითხვის უნარის განვითარებას. ეს პროცესი სასკოლო ასაკის მთელ მანძილზე უნდა მიმდინარეობდეს ინტენსიურად. როცა მასწავლებელი იცნობს თანამედროვე მეთოდოლოგიას, იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას ხარისხზე ორიენტირებული სწავლებისათვის, მოსწავლე გააზრებულად კითხულობს და მოტივაცია მაღალია, მაშინ სკოლაში მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესში საინტერესოდ და ხარისხიანად მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.ბოჭორიშვილი, „ინტერაქტიური მეთოდების კრებული და ტესტები“(2013წ.)
2. დაწყებითი განათლების პროექტის G-PRIED სატრენინგო მასალები (2013წ.)